

UDC 004.6

SCOPUS CODE 1408

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-162-170>

ინტერნეტინფრასტრუქტურის, როგორც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის ინსტრუმენტის ეფექტიანობის ანალიზი საქართველოში

მარიამ ფირანიშვილი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: piranishvilim@gmail.com

რეცენზენტები:

დ. მახვილაძე, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: dmakhviladze@gtu.ge

მ. ხოხობაია, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: merab.khokhobaia@tsu.ge

ანოტაცია. დემოკრატიული სახელმწიფოს განსაკუთრებული მახასიათებელი არის სახელმწიფო გამჭვირვალობა, ამ უკანასკნელის ერთ-ერთი განმაპირობებელი ნიშანი კი – ინფორმაციის თავისუფლება. ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა კონსტიტუციური უფლებაა და განსაკუთრებული როლი აქვს სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში.

სტატიაში განხილულია საქართველოში არსებული ინტერნეტინფრასტრუქტურის, როგორც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის მდგომარეობა და გამოკვეთილია პრობლემატიკა, რაც გავლენას ახდენს

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხზე. ამ მიზნით განხილულია ემპირიული კვლევის შედეგები, გაანალიზებულია კიბერსივრცეში არსებული ინფორმაციის როლი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და გამოკვეთილია ძირითადი გამოწვევები, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება აწყდება ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით. კვლევის ამოცანები მოიცავდა საქართველოში არსებული ინტერნეტინფრასტრუქტურის, კიბერსივრცეში არსებული საჯარო ინფორმაციის, ინფორმაციის თავისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენებისა

და ამ ჭრილში საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხის ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტინფრასტრუქტურა; ინფორმაციის თავისუფლება; ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფა.

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, მიიღოს სრული ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, გაეცნოს საჯარო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებებს და პერსონალურ მონაცემებს. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლების შიგასახელმწიფოებრივი გარანტიების მნიშვნელოვან დებულებებს, თუმცა პრაქტიკულად დაუცველია ამავე კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმებით.

ძირითადი ნაწილი

კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით შესწავლილია საქართველოში არსებული ინტერნეტინფრასტრუქტურა, მისი როგორც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მნი-

შვნელოვანი ინსტრუმენტის გამოყენების ხარისხი, გამოკვეთილია პრობლემატიკა, რაც გავლენას ახდენს საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხზე. ამ მიზნით განხილულია ემპირიული კვლევის შედეგები, გაანალიზებულია კიბერსივრცეში არსებული ინფორმაციის როლი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფად და გამოკვეთილია ძირითადი გამოწვევები, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება აწყდება ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით. ემპირიული კვლევა ძირითადად დაეყრდნო თვისებრივი კვლევის მეთოდებს და მოიცავდა: საჯარო დაწესებულებების, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი კერძო სამართლის სუბიექტების, არასამთავრობო სექტორისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის, გენდერის, ასაკობრივი ზღვრის, დასაქმების სტატუსის, რეგიონული გადაწვევებისა და სოციალური სტატუსის თანაფარდობათა მაჩვენებლების გონივრული დაცვით გამოკითხვას ინტერვიუებით, [3], [1] ძირითადად ონლაინპლატფორმის გამოყენებით. ინტერვიუებისას, გამოკითხვა მოიცავდა 14 ძირითად შეკითხვას, აგრეთვე დამაზუსტებელ დამატებით შეკითხვებს რესპონდენტებთან [2]. ინტერვიუების შინაარსი ითვალისწინებდა კიბერსივრცეში არსებული საჯარო ინფორმაციის, ინფორმაციის თავისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პროაქტიურად გამოქვეყნებული ინფორმაციის მოხმარების, ინტერნეტინფრასტრუქტურისა და ამ ჭრილში საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხის შესახებ მონაცემებისა და განწყობების შეგროვება/შესწავლას.

კვლევის შედეგების ანალიზი

ინტერნეტი და ინტერნეტრესურსები ინფორმაციის მიღების უმნიშვნელოვანესი წყარო და ყველაზე მოქნილი ინსტრუმენტია, რომლის ხვედრითი წილი მხოლოდ სწრაფად მზარდი ტენდენციით ხასიათდება თანამედროვე გლობალურ სამყაროში. ამ ჭრილში, საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობამ სავალდებულოდ აქცია 2013 წლიდან და გაითვალისწინა საჯარო ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნების სტანდარტი, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი და განსაზღვრა პროაქტიურად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა. აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილებით [5].

საქართველოში არსებული ინტერნეტინფრასტრუქტურის განხილვა და გაანალიზება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის კვლევისათვის.

ინტერნეტინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული დასამუშავებელი და გასაანალიზებელი ინფორმაციის დიდი მოცულობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ნაშრომში აქცენტები კეთდება კონკრეტულ მიმართულებებზე, რაც საჭიროა კვლევის ვიწრო ველში სამეცნიერო მიგნებებისა და დასკვნებისათვის.

კვლევის პროცესში ჩატარებულ გამოკითხვებში, რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტერნეტთან წვდომით გამოყენების უდიდესი წილი უკავშირდება

სოციალური ქსელების მოხმარების, კომუნიკაციის უზრუნველყოფის, კერძო სექტორთან ასოცირებული ინფორმაციის/მომსახურების მიღების ან უზრალოდ გართობის მიზნებს. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პროაქტიურად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღების, აგრეთვე, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ონლაინკომუნიკაციისა და მათგან ონლაინმომსახურების მიმართ არსებული ინტერესი დაადასტურა გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 7%-მა. ძირითად მიზეზად დასახელდა: ინფორმაციის სანდოობის დაბალი ხარისხი (მოძველებული ან არასრულყოფილი/მცდარი მონაცემები); არადისტანციური ფორმით თანამშრომლობის უპირატესობა/ეფექტიანობა (შედეგიანობის თვალსაზრისით); სახელმწიფო ორგანოთა ონლაინსერვისების სიმწირე და ხარისხი. ამ თვალსაზრისით გამორჩეულად არის გამოკვეთილი იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მოქმედი იუსტიციის სახლების სერვისების არსებობა, მრავალფეროვანი ინდივიდუალური გამოცდილებებითა და მოსახლეობის კმაყოფილების შედარებით მაღალი ხარისხით.


საინტერესო თანხვედრაშია კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგები, ოფიციალურად არსებულ საჯარო სტატისტიკურ ინფორმაციასთან. ამ ჭრილში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელიც ინტერნეტთან წვდომისთვის იყენებს შესაბამის მოწყობილობებს (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, პლანშეტი და ა.შ.). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, [5] 2016 წლიდან მოსახლეობის ინტერნეტთან წვდომისთვის მობილური მოწყობილობების გამოყენების მაჩვენებელი არის მზარდი და 2023 წლისათვის აღწევს მაქსიმალურ ნიშნულს (იხ. ცხრილი 1).

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ბოლო 3 თვის განმავლობაში ინტერნეტთან წვდომისთვის გამოიყენა მობილური მოწყობილობები (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, პლანშეტი და ა.შ.) (%)

	სულ	ქალაქი	სოფელი	ქალი	კაცი	15-29 წლის	30-59 წლის	60 წლის და უფროსი
2016, ივნისი	59,1	57,8	61,8	57,6	60,7	80,0	48,3	21,4
2017, ივნისი	79,6	78,5	81,7	79,5	79,6	92,4	75,8	46,4
2018, ივლისი	91,5	90,8	92,9	91,4	91,6	97,7	90,2	79,2
2019, ივლისი	92,8	93,1	92,3	94,0	91,5	97,8	91,9	83,6
2020, ივლისი	94,7	93,9	96,3	95,6	93,6	97,6	94,9	88,0
2021, ივლისი	97,6	97,1	98,5	97,8	97,3	99,7	97,9	92,8
2022, ივლისი	99,0	99,1	98,7	99,1	98,8	99,8	99,4	96,0
2023, ივლისი	99,1	99,0	99,3	99,2	98,9	99,7	99,1	98,0

შენიშვნა: ვინც გამოიყენა მობილური მოწყობილობები უსადენო ინტერნეტთან წვდომისთვის საცხოვრის და სამსახურის გარეთ.

ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ კარგად განვითარებული. მეტი სიცხადისათვის, ინტერნეტრესურსების გამოყენების მაჩვენებელი ბოლო ოთხი წლის მაჩვენებელი წარმოდგენილია საქართველოში არის ძალიან მაღალი და ინტერნე- დიაგრამაზე. ტინფრასტრუქტურა, მომხმარებლის მხრიდან არის



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუმცა, მნიშვნელოვანია, თუ როგორია საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან ინტერნეტრესურსების გამოყენების მაჩვენებელი პირად საკითხებზე სახელმწიფო მმართველობის ორგანობთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან

ურთიერთობის მიზნებისთვის. მონაცემები მიღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდიდან და წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვისაც ბოლო 12 თვეში, პირად საკითხებზე ინტერნეტით ჰქონდა ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან, ურთიერთობის მიზნების მიხედვით (%)


		სულ	ქალაქი	სოფელი	ქალი	კაცი
2016, ივნისი	ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	13,5	15,8	8,5	12,6	14,4
	სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	11,6	13,6	7,4	11,1	12,1
	ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	5,5	7,0	2,4	4,0	7,1
	შეესებულა ფორმების/ბლანკების წარდგენა	5,5	6,2	4,0	4,3	6,8
	არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	86,5	84,2	91,5	87,4	85,6
2017, ივნისი	ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	11,1	14,0	5,5	11,4	10,8
	სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	10,0	12,8	4,6	10,0	10,0
	ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	3,8	4,9	1,6	4,3	3,3
	შეესებულა ფორმების/ბლანკების წარდგენა	3,6	4,5	1,9	4,1	3,1
	არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	88,9	86,0	94,5	88,6	89,2
2018, ივლისი	ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	11,8	14,7	6,0	10,8	13,0
	სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	11,0	14,0	4,8	9,7	12,3
	ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	5,2	6,7	2,0	4,2	6,3
	შეესებულა ფორმების/ბლანკების წარდგენა	4,0	5,0	2,1	3,5	4,6
	არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	88,2	85,3	94,0	89,2	87,0
2019, ივლისი	ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	12,4	15,3	6,7	13,3	11,5
	სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	11,8	14,6	6,2	12,8	10,8
	ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	6,7	8,4	3,2	6,3	7,1
	შეესებულა ფორმების/ბლანკების წარდგენა	5,9	7,3	3,1	6,0	5,8
	არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	87,6	84,7	93,3	86,7	88,5

2020, ივლისი	ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	12,4	16,5	4,2	12,7	12,0
	სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	11,3	14,9	3,9	11,5	10,9
	ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	4,9	6,7	1,4	6,2	3,6
	შეესებულ ფორმების/ბლანკების წარდგენა	4,9	6,5	1,7	6,2	3,4
	არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	87,6	83,5	95,8	87,3	88,0
2021, ივლისი	ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	17,0	20,8	9,9	17,8	16,1
	სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	15,9	19,9	8,5	16,5	15,3
	ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	6,2	7,8	3,3	6,3	6,2
	შეესებულ ფორმების/ბლანკების წარდგენა	6,5	7,9	3,9	6,4	6,6
	არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	83,0	79,2	90,1	82,2	83,9
2022, ივლისი	ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	11,2	15,0	3,9	13,0	9,1
	სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	10,5	14,1	3,7	12,2	8,6
	ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	5,2	7,1	1,6	6,3	4,0
	შეესებულ ფორმების/ბლანკების წარდგენა	4,8	6,6	1,2	5,7	3,6
	არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	88,8	85,0	96,1	87,0	90,9
2023, ივლისი	ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	12,0	15,8	4,8	11,0	13,1
	სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	10,7	14,5	3,7	10,2	11,2
	ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	5,7	7,6	2,2	5,6	5,9
	შეესებულ ფორმების/ბლანკების წარდგენა	5,3	6,7	2,7	5,2	5,3
	არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით	88,0	84,2	95,2	89,0	86,9

მოცემული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 2016 წლიდან მოსახლეობის ინტერნეტთან წვდომისთვის მობილური მოწყობილობების გამოყენების მაჩვენებლის მნიშვნელოვანმა ზრდამ, არ იქონია დადებითი გავლენა პირად საკითხებზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან ურთიერთობის პროცენტულ მაჩვენებელზე. ამ ჭრილში, კიდევ უფრო დაბალ

ნიშნულზეა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მაჩვენებელი.


მოცემულ სურათს კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს აგრეთვე პანდემიის პერიოდს, როდესაც უშუალო, ფიზიკური კონტაქტის ხარისხი, მოსახლეობასა და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის იყო მინიმუმამდე დასული.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აგრეთვე, საინტერესოა საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან ინტერნეტით ურთიერთობის მაჩვენებელი სახელმწიფო ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან დანიშნულების მიხედვით. ამ თვალსაზრისით 10%-დან 16%-მდე მერყეობს სახელმწიფო დაწესებულებების ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვების მაჩვენებელი; 5%-დან 6%-მდე მერყეობს ოფიციალური

ფორმებისა და ბლანკების ჩამოტვირთვის მიზნით ურთიერთობა; 5%-დან 7%-მდეა შევსებული ფორმებისა და ბლანკების ონლაინწარდგენის მაჩვენებელი; ხოლო 83%-დან 89%-მდეა იმ მოსახლეობის მაჩვენებელი, რომელსაც არ ჰქონია ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან ინტერნეტის მეშვეობით.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოაღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა შემდეგი მოცემულობა, რომ მიუხედავად საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და მისი მოხმარების მაღალი მაჩვენებლისა, საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, ინტერნეტინფრასტრუქტურისათვის, როგორც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის ინსტრუმენტისათვის მაღალი მნიშვნელობის წილის მინიჭებისათვის საქართველოს სახელმწიფო ჯერჯერობით მზად არ არის, მისი ადმინისტრაციული ორგანოების კორპუსითა და მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულებით.

დასკვნა

ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევამ წარმოაჩინა საქართველოში არსებული ინტერნეტინფრასტრუქტურის, როგორც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის მდგომარეობა და პრობლემატიკა, რაც გავლენას ახდენს საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის ხარისხზე.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, კიბერსივრცეში განთავსებული ინფორმაციის როლის გაანალიზებამ გამოკვეთა გამოწვევები, რომელსაც აწყდება სახელმწიფო თუ საზოგადოება და გამოიხატება პროაქტიურად გამოქვეყნებული ინფორმაციის მიმართ ნდობის დაბალი ხარისხით, არადისტანციური ფორმით თანამშრომლობის დაბალ ეფექტიანობისა და სახელმწიფო ორგანოთა ონლაინსერვისების სიმწირით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და მისი მოხმარების მაღალი მაჩვენებლისა საქართველოში, ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, ინტერნეტინფრასტრუქტურის, როგორც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის ინსტრუმენტისათვის მაღალი მნიშვნელობის წილის მინიჭებისათვის საქართველოს სახელმწიფო საჭიროებს სანდოობის ხარისხის ზრდას, ონლაინსერვისების მრავალფეროვნებისა და ხარისხის განვითარებას, ონლაინსერვისების ეფექტიანობის ზრდას და ამ ჭრილში ადმინისტრაციულ ორგანოთა კორპუსისა და მცხოვრები მოსახლეობისათვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებას.

ლიტერატურა

1. Frankfort-Nachmias, Ch. Nachmias, D. (2009). *Research methods in social sciences*. Tbilisi: Ilyauni Publishing House.;
2. Creswell, J. (2009). *Research Design. Qualitative, quantitative, and Mixed Methods Approaches*.;
3. Baghaturia, G. (2018). *Research Methods in Public Administration Tasks*. Tbilisi: GTU.;
4. Durglishvili, N. (2006). *Sociological data analysis*.;
5. Georgian Government. (2013). *Resolution #219 on Requesting and Proactively Publishing Public Information in Electronic Form*. Tbilisi: Legislative Herald of Georgia.

6. National Statistical Service of Georgia. (2023). *Data on the Use of Information Technologies by the Title*. Retrieved from:
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi>.
-

UDC 004.6

SCOPUS CODE 1408

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-162-170>

Analysis of the Effectiveness of Internet Infrastructure as a Toolkit for Freedom of Information in Georgia

Mariam Piranishvili Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: piranishvilim@gmail.com

Reviewers:

D. Makhviladze, Associate Professor, Head of the Quality Assurance Service, GTU
E-mail: dmakhviladze@gtu.ge

M. Khokhobaia, Associate Professor, Head of the Scientific Research and Development Service, Faculty of Economics and Business, I. Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: merab.khokhobaia@tsu.ge

Abstract. The state of Internet infrastructure in Georgia is examined as an important tool for ensuring freedom of information. The problems that affect the quality of freedom of information and the provision of public information in Georgia are highlighted. For this purpose, the results of empirical research are discussed and the importance of information in cyberspace is analyzed to ensure access to public information, and the main problems faced by the state and society in conditions of freedom of information are highlighted. The objectives of the research included analysis of the existing Internet infrastructure in Georgia, public information in cyberspace, freedom of information, consumption of information proactively published by administrative bodies, as well as the quality of the provision of public information in this regard.

Keywords: access to the information; freedom of information; Internet infrastructure; proactive publication of information; provision of public information.

განხილვის თარიღი 27.02.2024

შემოსვლის თარიღი 28.02.2024

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024